შეთანხმება №16/02-284/291ც

"სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრებ პირთა რეესტრში ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის მიწოდების შესახებ" 2016 წლის 22 სექტემბრის №16/02-284 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი **21 სექტემბერი, 2017 წ.**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო** (შემდგომში - სააგენტო), წარმოდგენილი სააგენტოს მხარდაჭერის დეპარტამენტის დირექტორის, **ნინო ინწკირველის** სახით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **მონაცემთა გაცვლის სააგენტო** (შემდგომში - მონაცემთა გაცვლის სააგენტო), წარმოდგენილი მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, **ნიკოლოზ გაგნიძის** სახით, **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო** (შემდგომში - სამინისტრო), წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის, **ნინო ბერძულის** სახით და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **სოციალური მომსახურების სააგენტო** (შემდგომში - მომსახურების სააგენტო), წარმოდგენილი მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილის, **თენგიზ აბაზაძის** სახით, შემდგომში ერთობლივად მხარეებად წოდებულნი,

„სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრებ პირთა რეესტრში ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის მიწოდების შესახებ" 2016 წლის 22 სექტემბრის №16/02-284 ხელშეკრულების 13.2 პუნქტისა და მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 20 სექტემბრის №04/59150 (სააგენტოში რეგისტრაციის №176860, 20.09.2017წ.) წერილის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. შეთანხმების საგანი

შეთანხმების საგანია მხარეთა შორის 2016 წლის 22 სექტემბერს დადებული №16/02-284 ხელშეკრულების (შემდგომში - ხელშეკრულება) მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით, მასში ცვლილების შეტანა.

მუხლი 2. ცვლილება ხელშეკრულებაში

ხელშეკრულების 13.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10.1 წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს 2016 წლის 22 სექტემბრიდან და ძალაშია 2017 წლის 21 დეკემბრის ჩათვლით.".

მუხლი 3. დამატებითი პირობები

3.1 წინამდებარე შეთანხმება შედგენილია 4 (ოთხ) ეგზემპლარად, თითოეულ მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

3.2 შეთანხმება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3.3 შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

3.4 ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

მუხლი 4. მხარეთა რეკვიზიტები

4.1 სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო" – მის.: ქ. თბილისი, 0154, აკ. წერეთლის გამზირი №67ა, ს/კოდი 202307404.

4.2 სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტო" – მის.: ქ. თბილისი, წმინდა ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის №2, ს/კოდი 204577699.

4.3 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - მის.: თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი №144, ს/კოდი 211333957.

4.4 სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო" - მის.: თბილისი, 0119, აკ. წერეთლის გამზირი №144, ს/კოდი 202178927.

ნინო ინწკირველი	ნიკოლოზ გაგნიძე	ნინო ბერძული	თენგიზ აბაზაძე